სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორი

22/10/2024

MES 2 24 0001364764

ბრძანება

„სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ოფიციალური ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების ადმინისტრირების სტანდარტის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 29 დეკემბრის №1784171 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურის უფროსის 2024 წლის 26 სექტემბრის №1211768 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ოფიციალური ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების ადმინისტრირების სტანდარტის დამტკიცების შესახებ" ცენტრის დირექტორის 2023 წლის 29 დეკემბრის №1784171 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ოფიციალური ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების ადმინისტრირების სტანდარტის" პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ე" ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ე) Documentation@eqe.ge – გამოიყენება ცენტრის სერვისებით მოსარგებლე მომხმარებლისთვის შესაბამისი მომსახურების უზრუნველსაყოფად ელექტრონული ფორმით დოკუმენტაციის გაგზავნის მიზნებისათვის.".

2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
3. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო სამსახურს ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ქეთევან კობახიძე